თვითმმართველი ქალაქის –ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი
№2

ქ. ქუთაისი 22 ივლისი 2013 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

თენგიზ თოფურიძე	– ქ. ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის თავმჯდომარე.
ზურაბ გაბიძაშვილი	–ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი.
ზურაბ ზამბახიძე	– ქ. ქუთაისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი.
კახაბერ დალაქიშვილი	- ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი.
გელა მშვენიერაძე	- ქალაქ ქუთაისის მერიის ქალაქდაგეგმარებისა და ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი.
ირაკლი გიორგაძე	– ქ. ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სამართლებრივ საკითხთა განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი.

დღის წესრიგი: კონკურსის მეშვეობით ქალაქ ქუთაისში ახალი და არსებული ღვარსადენი ქსელის მოწყობა-რეაბილიტაციისათვის საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის შესახებ.

განხილვა: საკონკურსო კომისიის წევრის ზურაბ გაბიძაშვილის გამოსვლა იმის თაობაზე, რომ ქალაქ ქუთაისში ახალი და არსებული ღვარსადენი ქსელის მოწყობა-რეაბილიტაციისათვის საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში (საკონკურსო განცხადება №861. 16.07.2013წ.) განსაზღვრულ დროში არცერთი კონკურსანტის მიერ არ იქნა წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება. შესაბამისად კონკურსი არ შედგა.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ: თენგიზ თოფურიძემ. კომისიის წევრებმა: კახაბერ დალაქიშვილმა და ირაკლი გიორგაძემ.

დაადგინეს: 1. ქალაქ ქუთაისში ახალი და არსებული ღვარსადენი ქსელის მოწყობა-რეაბილიტაციისათვის საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მიზნით გამოცხადებული კონკურსი გამოცხადდეს არშემდგარად.

2. დაევალოს საკონკურსო კომისიას მოახდინოს აღნიშნული საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის გაგზავნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge) გამოქვეყნების მიზნით, რათა კონკურსს მიანიჭოს სტატუსი – კონკურსი „არ შედგა".

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: თენგიზ თოფურიძე

კომისიის წევრები:

ზურაბ გაბიძაშვილი

ზურაბ ზამბახიძე

კახაბერ დალაქიშვილი

გელა მშვენიერაძე

ირაკლი გიორგაძე